ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის

გიორგი ახვლედიანის

2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 01 ნოემბრამდე საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმათველობის კოდექსის 44-ე, 45-ე , 47 -ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის # 2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, როგორც საკრებულოს წევრმა და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე საქმიანობის განმავლობაში ვმონაწილეობდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომებსა და საკრებულოს სხდომებში, სადაც მიღებულ იქნა 140 დადგენილება და 406 განკარგულება. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“, გენდერული საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით საკითხების განმხილველი კომისიები წევრი.

როგორც, ქალაქ თბილისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის წევრისა და თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვალია ვემსახურო მოქალაქეების ინტერესებსა და უზრუნველვყო მათი პრობლემების მოგვარება. მიმდინარე წელს დედაქალაქის მოსახლეობის საკითხების გაცნობისა და მოგვარების მიზნით მოქალაქეთა მიღებისათვის გამოყოფილ ერთ სამუშაო დღეს შევხვდი 87 მოქალაქეს. 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 01 ნოემბრამდე ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით მე და თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნო მუდმივ კომუნიკაციაში ვიყავით მოქალაქეებთან და მუდმივ მონაწილეობას ვიღებდი საქველმოქმედო საქმიანობაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრმა მონაწილეობა მივიღე ფრაქციის 09 სხდომაში , სადაც განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 13 საკითხი .

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე შევისწავლეთ დედაქალაქისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის:

-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” მიერ 2020 წლის საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთობლივად განსახილველად;

-ქალაქ თბილისის ვიცე-მერისა და საფინანსო სამსახურის უფროსთან ერთად თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების განხილვა;

- 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქციების პოზიციების შეჯერება და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაატარა 14 სხდომა და განიხილა 67 საკითხი, სადაც მივიღე აქტიური მონაწილეობა და შევისწავლე 37 საკითხი, რომელთა შორის არის:

-„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

-„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის <u>თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან</u> დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი;

-„საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილტარიფის ანაზღაურების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2

კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიცპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

-„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა კომისიის 14 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 28 საკითხი . მოგახსენებთ, რომ კომისიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმება, რომლის საფუძვეზეც კომისია წარმოადგენს დასკვნებსა და გასცემს რეკომენდაციებს. საანგარიშო პერიოდში მსოფლიოსა და ჩვენს სამშობლოში “COVID-19 “ - ით გამოწვეული პანდემიის პერიოდში კომისიამ შეამოწმა 08 ორგანიზაცია, რომელთაც აღმოჩენილ დარღვევებზე გაეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ“ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 04 სხდომა , სადაც განხილულ იქნა 11 საკითხი. მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიის მიერ დაგეგმილ შეხვედრებსა და კონფერენციებში.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გიორგი ახვლედიანი